



კომპანია „ენკა რინიუებლზი“ სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას გამოხატავს და საქმის განხილვას ხელოვნურად აჭიანურებს

დღეს, 10 მარტს, 12:00 საათზე წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოში უნდა დაწყებულიყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა კომპანია „ენკა რინიუებლზის“ მიმართ გარემოსდაცვითი გადანყვეტილებით განსაზღვრული მთელი რიგი პირობების დარღვევის გამო. საიას ქუთაისის ფილიალის იურისტები და მოსარჩელე მკვა სულაძე გამოცხადდნენ სხდომაზე, თუმცა აღნიშნული პროცესი ნამახვანჭვის კასკადის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მშენებელი კომპანიის მხრიდან არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო.

სასამართლოსთვის უცნობია მხარის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი, რადგან კომპანია **□□□□ რინიუებზლს **□□□□□□□□** განმხილველი სასამართლოსთვის არ წარუდგენია საპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი.** როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მას სასამართლოსთვის საქმესთან დაკავშირებით არც სხვა დამატებითი დოკუმენტაცია არ წარუდგენია ამ დროისთვის, რაც დაადასტურებდა მშენებელი კომპანიის მხრიდან იმ პირობების შესრულებას, რომელიც ჯერ კიდევ ჰესის მშენებლობის დაწყებამდე უნდა შეესრულებინა. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმით ირკვევა, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჯერ კიდევ 2020 წლის 16 ოქტომბერს დაათვალიერეს პროექტის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ტერიტორია. ინსპექტირების შედეგად დეპარტამენტმა დაადგინა, რომ შპს **□□□□** რინიუებზლს **□□□□□** აქვს შესრულებული როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის # 2-191 ბრძანების საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი გადანყვეტილებით განსაზღვრული 15 პირობა. თუმცა, სამინისტრო ამ ინფორმაციას არ ასაჯაროვებდა და ის საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, 4 თვის შემდეგ, **□□□□□□** ალტერნატივას“ საჩივრის საფუძველზე.